

საქართველოს ბანკმა ხელი მოაწერა 40 მილიონი ევროს მოცულობის სასესხო ხელშეკრულებას ევროპის საინვესტიციო ბანკთან

თბილისი, 30 აპრილი, 2015 - საქართველოს ბანკმა, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, განაცხადა, ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB) 40 მილიონი ევროს მოცულობის სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ხსენებული სესხი განკუთვნილია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისთვის. მოზიდული ფინანსური რესურსი მოხმარდება კერძო სექტორის განვითარებაზე მიმართულ ისეთ პროექტებს, როგორც არის სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, კლიმატის ცვლილების თავიდან აცილება ან ადაპტაცია, ყოველივე კი ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას.

EIB-ის ვიცე პრეზიდენტმა, ვილჰელმ მოლტერერმა განაცხადა: „მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ხერხემალი და EIB -ის მთავარი ფოკუსია. ხსენებული დაფინანსება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკაციას, იმდენად რამდენადაც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის გაძლიერებაზე, მის გარდაქმნაზე ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კატალიზატორად და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის, ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური აქტივობის გაზრდაზე. ბატონმა მოლტერერმა აღნიშნა: „ჩვენ ვაფასებთ საქართველოს ბანკის პროფესიონალიზმს, რაც მას ხდის არაჩვეულებრივ პარტნიორად EIB -სთვის საქართველოში.“

„მოხარული ვართ, რომ ვიწყებთ თანამშრომლობას EIB-სთან, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც იზრდება საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ევროკავშირთან, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი გახდა.

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:

საქართველოს ბანკი ქვეყნის წამყვანი ბანკია, მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი 35.5%), მთლიანი სესხების (საბაზრო წილი 34.9%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 31.5%) მიხედვით (2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე; მოიცავს „პრივატბანკის“ საბაზრო წილსაც). საქართველოს ბანკი მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, საბროკერო, ასევე სადაზღვევო და ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკი ემსახურებოდა დაახლოებით 1.5 მილიონი კლიენტის ანგარიშს, 219 სერვისცენტრის, 523 ბანკომატისა და 2,239 თვითმომსახურების ტერმინალისგან შემდგარი ქსელის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმისა და თანამედროვე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: www.bog.ge

ევროს გავლენა ლარზე მნიშვნელოვნად გაზრდილია ბოლო წლების განმავლობაში და ლარი ეფექტურად ხდება უფრო მიახლოებული ევროსთან, რის შედეგადაც ჩვენ ახლა ფოკუსირებული ვართ დაფინანსების მოზიდვაზე ევროში. 40 მილიონი ევროს მოცულობის სესხი, რომელიც გამიზნულია ჩვენი მომხმარებლებისთვის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორიდან, შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო გვზარდოთ ჩვენი კონკურენტუნარიანობა ხსენებულ სექტორში და მხარი დავუჭიროთ სექტორის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას,“ განაცხადა საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ირაკლი გილაურმა.

EIB-ის შესახებ:

ევროპის საინვესტიციო ბანკი- ევროკავშირის ბანკი, აფინანსებს პროექტებს საქართველოში, ევროპის საბჭოსა და ევროპარლამენტის მანდატის ფარგლებში, აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში. 2014-2020 მანდატი ითვალისწინებს აღმოსავლეთ სამეზობლოთვის 4.8 მილიარდი ევროს ფარგლებში, ადგილობრივი კერძო სექტორისთვის, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურისა და კლიმატის ცვლილების სფეროში პროექტების დაფინანსებას, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან ინტერესს როგორც ევროკავშირისთვის, ისე აღმოსავლეთ სამეზობლოებისთვის. დამატებით, ბანკმა ჩამოაყალიბა 3 მილიარდი ევროს მოცულობის სამეზობლოს ფინანსური რესურსი, რათა მხარი დაუჭიროს მეზობელ ქვეყნებს.

EIB-ის მიზანია გაზარდოს საქართველოს მხარდაჭერა მას მერე რაც 2014 წლის ივნისში ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას. შეთანხმება მნიშვნელოვნად აღრმავებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირს ევროკავშირთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

###

საკონტაქტო პირი:

ხათუნა კაკაბაძე

მედიასთან ურთიერთობის მენეჯერი

(5 32) 2 444 444 *3252

(5 99) 206 246

khkabadze@bog.ge

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:

საქართველოს ბანკი ქვეყნის წამყვანი ბანკია, მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი 35.5%), მთლიანი სესხების (საბაზრო წილი 34.9%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 31.5%) მიხედვით (2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე; მოიცავს „პრივატბანკის“ საბაზრო წილსაც). საქართველოს ბანკი მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის, საბროკერო, ასევე სადაზღვევო და ჯანდაცვის მომსახურების ფართო სპექტრს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ბანკი ემსახურებოდა დაახლოებით 1.5 მილიონი კლიენტის ანგარიშს, 219 სერვისცენტრის, 523 ბანკომატისა და 2,239 თვითმომსახურების ტერმინალისგან შემდგარი ქსელის, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმისა და თანამედროვე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: www.bog.ge